საქართველოს პარლამენტის

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის მიერ 2012 წლის საშემოდგომო და 2013 წლის საგაზაფხულო სესიების პერიოდში გაწეული საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 52-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წლიურ ანგარიშს 2012-2013 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ.

2012 წლის საშემოდგომო სესიის და 2013 წლის საგაზაფხულო სესიის პერიოდში კომიტეტი აქტიურად ახორციელებდა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით მინიჭებულ ფუნქციებს. თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფდა საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადებას, დარგობრივი მიმართულებებით სხვადასხვა უწყებებში განსახილველი საკითხების სრულყოფისათვის აქტიურ ჩართულობას, პარლამენტის გადაწყვეტილებათა შესრულების ხელის შეწყობას, მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებისას წარმოშობილი პრობლემების შესწავლა-ანალიზსა და მათი აღმოფხვრისათვის საჭირო აქტივობების დაგეგმვას, პარლამენტის წინაში ანგარიშვალდებული ორგანოების და საქართველოს მთავრობის კონტროლს.

კომიტეტი ინტენსიურად იყო ჩართული საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებით საქმიანობაში. კომიტეტის მიერ მომზადებულ იქნა არაერთი კანონპროექტი, რომელიც მიმართული იყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური სტაბილურობისაკენ. კომიტეტის საქმიანობა შეეხო ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროებს როგორებიცაა: მშენებლობა, ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, კონკურენცია, საინვესტიციო საქმიანობა, ბიზნეს გარემო, სახელმწიფო შესყიდვები, სახელმწიფო ქონების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვა და სხვა.

საგულისხმოა ასევე კომიტეტის როლი პარლამენტის მიერ განსახილველი კანონპროექტების წინასწარ მომზადებასა და დამუშავებაში. კომიტეტის მიერ განხილულ იქნა **170** კანონის პროექტი, სადაც **25** კანონპროექტზე იყო წამყვანი, ხოლო **145** კანონპროექტზე მომზადებულ იქნა სავალდებულო დასკვნა.

კომიტეტის მიერ განხორციელდა საქართველოს პარლამენტში სარატიფიკაციოდ წარდგენილი **38** საერთაშორისო ხელშეკრულების შესწავლა საქართველოს კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობისა და შესაძლო სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით.

კომიტეტმა განახორციელა მის საკურატორო სფეროში შემავალი კანონების მონიტორინგი, შეისწავლა ქვეყნის ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკასთან მათი შესაბამისობა და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან შეთანხმებით მოამზადა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები. უნდა აღინიშნოს, რომ გამოვლინდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ხარვეზები, წინააღმდეგობრივი ხასიათის ნორმები და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი, უსაფრთხოებისა და სოციალური ფაქტორების უგულვებელმყოფელი ნორმები. მიუხედავა იმისა, რომ კომიტეტმა აღმოფხვა არაერთი აღნიშნული პრობლემა, მაინც რჩება სფეროები რომელთა მარეგულირებელი აქტები საჭიროებენ დახვეწას და უფრო მეტიც, ახალი საკანონმდებლო აქტების მიღებას. კომიტეტი აქტიურად გააგრძელებს აღნიშნულ საქმიანობას.

კომიტეტი აგრეთვე აკონტროლებდა მის საკურატორო სფეროში შემავალი სხვადასხვა უწყების ხელმძღანელების ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

საანგარიშო პერიოდში შედგა აქტიური თანამშრომლობა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, რომლებიც ინტენსიურად მომართავდნენ კომიტეტს წერილობით, მათ შორის კონკრეტული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრის მოთხოვნით. გაიმართა შეხვედრები, მოხდა მათი მოთხოვნების ანალიზი და მთავრობის წარმომადგენლების ჩართვა ამ პროცესში.

ასევე მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ჩართულობა კომიტეტის საქმიანობის პროცესში. კომიტეტში განხილულ იქნა **147** მოქალაქის განცხადება, რომლებზეც კომიტეტმა უზრუნველყო დროული, კვალიფიციური და ეფექტური ფორმით რეაგირება.

ასევე აღსანიშნავია კომიტეტის ინტენსიური თანაშრომლობა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. სულ კომიტეტმა რეაგირება მოახდია 200-მდე სხვადასხვა ორგანიზაციის წერილობით მომართვაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქეთა, ბიზნეს სექტორის და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობა მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს კომიტეტს ნაყოფიერად განეხორციელებინა მისთვის დაკისრებული ფუნქციები და ეფექტური გაეხადა მის ხელთ არსებული რესურსების გამოყენება საკანონმდებლო ბაზის დახვეწა-სრულყოფისათვის. კომიტეტი გეგმავს მათი ჩართულობის გაძლიერებას და გაღრმავებას.

ზემოხსენებულს მოწმობს ის ფაქტიც, რომ კომიტეტმა განიხილია **8** საკანონმდებლო წინადადება და საზოგადოებრივი მოძრაობის, არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოებრივი წარმომადგენლების ერთობლივი პეტიცია.

კომიტეტი წარმატებულად იყენებს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 29-ე მუხლით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფების შექმნის პრაქტიკას. შექმნილია და აქტიურად ფუნქციონირებს:

- სათამაშო ბიზნესის შესახებ პეტიციიდან გამომდინარე შექმნილი სამუშაო ჯგუფი;
- გარე ვაჭრობის შესახებ კანონპროექტზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი;
- მიწის კოდექსის შემუშავებაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი.

კომიტეტის წარმომადგენლები ასევე აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა უწყებებში შექმნილ სამუშაო ჯგუფებში.

მთელ რიგ აქტუალურ და საზოგადოებრივი დაინტერესების მქონე საკითხებზე ჩატარდა საკომიტეტო მოსმენები. განხილულ იქნა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

კომიტეტის პრიორიტეტული მიმართულებები

კომიტეტის კანონშემოქმედებით და საზედამხედველო ფუნქციების გათვალისწინებით, გამოიკვეთა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

- ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის სრულყოფა;
- დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ კანონმდებლობის სრულყოფა, მათ შორის:
- დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოებთან არსებული მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტის გაძლიერება;
- საინვესტიციო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოწესრიგება;
- ქართული სამეწარმეო სამართლის სრულყოფა;
- მცირე და საშუალო ბიზნესის მასტიმულირებელი რეგულაციის შემუშავება;
- სამშენებლო კოდექსის შემუშავება;
- გაჩერებული მშენებლობების პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება და საკანონმდებლო რეგულირება;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი რეგულირება;
- რეკლამის განთავსებისა და წარმოების წესების დახვეწა;
- მიწის კოდექსის შემუშავება;
- სახელმწიფო ქონების შესახებ კანონმდებლობის სრულყოფა, მათ შორის ქვეყნის საპრივატიზაციო პოლიტიკის სრულყოფა;
- თამბაქოს წარმოება/მოხმარების მაკონტროლებელი რეგულაციების სრულყოფა;
- სათამაშო ბიზნესის რეგულაციის ოპტიმიზაცია;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ბიზნეს სექტორში ჩართულობის ხელშეწყობა;

<u>კომიტეტის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი საკითხები</u>

კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობიდან, აქტუალობისა და პრობლემურობის გათვალისწინებით, შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი ავტორიზებული პირების მიერ შემოსული განცხადების საფუძველზე კომიტეტმა მოახდინა შეხვედრების ორგანიზება მათ ავტორებთან და მედიის წარმომადგენლებთან. დიდი მოცულობის დოკუმენტაციის ანალიზის

საფუძველზე მოეწყო საჯარო განხილვა, სადაც მოწვეულნი იყვნენ როგორც მედიისა და კომუნიკაციების სფეროს მოღვაწე იურიდიული პირები თუ კერძო სუბიექტები, ასევე არასამთავრობო ოგანიზაციებისა და დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს წარმომადგენლები.

საკომიტეტო მოსმენის შედეგად, კომიტეტმა დაადგინა, რომ მოწოდებული ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 55-ე მუხლის შესაბამისად წარმოადგენდა დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძველს და შესაბამისად კომიტეტმა პარლამენტის წინაშე, დასაბუთებული წერილობითი წარდგინებით, დასვა დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი. მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, პარლამენტში შეიქმნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია;

- კომიტეტმა „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონის 152-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 29-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად შექმნა დამოუკიდებელ ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებთან - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულ კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის შესარჩევი საკონკურსო კომისიები. შემუშავდა, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის შესარჩევი საკონკურსო კომისიის დებულება და საკონკურსო პირობები. ასევე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულ კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის შესარჩევი საკონკურსო კომისიის დებულება და საკონკურსო პირობები.

გამოცხადდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულ კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი

დამცველის შესარჩევი და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულ კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის შესარჩევი კონკურსი. სამწუხაროდ, აღნიშნულ კონკურსებში ვერ გამოვლინდა კანდიდანტი, რომელიც სრულად დააკმაყოფილებდა საკონკურსო პირობებით დადგენილ მოთხოვნებს. უახლოეს პერიოდში კომიტეტი გეგმავს ზემოაღნიშნულ თანამდებობებზე კონკურსების განმეორებით გამოცხადებას;

საკონკურსო კომისიების მუშაობის პროცესში გამოვლინდა საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტის ნაკლოვანება და ფორმალური ხასიათი. კომისიების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ცვლილების შეტანის თაობაზე. კომიტეტმა ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს მომხამრებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტის გაძლიერებას, მისთვის კანონით განსაზღვრული ძირითადი უფლება-მოვალეობების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფას და ქმედითობის გაზრდას;

- საკონტროლო საქმიანობიდან გამომდინარე საინვესტიციო კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით განხორციელდა „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ", „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" და „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ" კანონების ანალიზი და მონიტორინგი. გამოვლინდა ურთიერთსაწინააღმდეგო რეგულაციების მატარებელი და მკვდარი ნორმები. შედეგად, შემუშავდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი. გაიმართა შეხვედრები საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს წარმომადგენლებთან;

- კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობითა და კოორდინირებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა-ანალიზისა და სათანადო საკანონმდებლო ბაზის მომზადების მიზნით, წარიმართა წინასწარი სამუშაო შეხვედრები სამთავრობო უწყებებს შორის, სადაც განხილულ იქნა ისეთი მნიშნელოვანი პრობლემური საკითხები, როგორიცაა:

- ✓ სახელმწიფო პროგრამის არარსებობა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწების რეგისტრაციის თაობაზე;
- ✓ თვითნებურად დაკავებული მიწების ინვენტარიზაციის და რეგისტრაციის საკითხი;
- ✓ კატეგორიების მიხედვით სახელმწიფო და მუნიციპალური მიწების საზღვრების რეგისტრაცია (სათიბი, სახნავი, საძოვარი და კერძო საკუთრებაში არსებული მიწები);
- ✓ განსაკუთრებულ რეჟიმებში არსებული მიწების საკითხის რეგულაცია;
- ✓ მიწის კატეგორიის შეცვლა;
- ✓ მიწების დაბეგვრის საკითხი;
- ✓ გადაფარვის საკითხების რეგულირება (მაგ. უფრო მოგვიანებით რეგისტრირებულ უფლებას იყენებდნენ წინა რეგისტრირებული უფლების გადასაფარად);
- ✓ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოელისათვის საკუთრებაში გადაცემის საკითხი.

შედეგად, ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც კოორდინაციას უწევდა პარლამენტში შექმნილი ე.წ. „ქოლგა ჯგუფი". კომიტეტი თავდაპირველ ეტაპზე უზრუნველყოფდა ჯგუფის მუშაობისათვის საჭირო საორგანიზაციო, ანალიტიკურ და ტექნიკურ მხარდაჭერას. აღნიშნული სამუშაო შეხვედრების შედეგად საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა „საქართველოში მიწის ფონდის მართვის განვითარების სამართლებრივი უზრუნველყოფის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო". დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი აქტიურად მონაწილეობს საბჭოს მუშაობაში, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მიწის კოდექსის შემუშავება და ზემოთაღნიშნულ პრობლემურ საკითხებზე პოლიტიკური და სამართლებრივი მიდგომების ჩამოყალიბება;

- კომიტეტის მიერ მოწვეულ იქნა ორი ექსპერტი, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული მიწის კოდექსით განსასაზღვრი რეგულაციების შემუშავების, მიწის საკუთრებასთან არსებული პრაქტიკის დახვეწის, საკადასტრო პრობლემატიკის ანალიზისა და საერთაშორისო პრაქტიკის ასახვის პროცესში.

- კომიტეტის მონაწილეობით შემუშავდა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი, რომელიც აწესებს ე.წ. მორატორიუმს (დროებითი ხასითის ნორმას), კერძოდ, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უცხოელის მიერ რეგისტრირებული იურიდიული პირისათვის წესდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიყიდვის შეზღუდვა. პროექტის შემუშავების პროცესში გაიმართა შეხვედრები არასამთავრობო სექტორისა და აკადემიური წრის წარმომადგენლებთან, ასევე აღნიშნული თემაზე მომუშავე მაგისტრანტებთან.

  აღნიშნული მორატორიუმის მიზანია, შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებამდე, თავიდან იქნეს აცილებული მიწების არარაციონალურად გასხვისება. მორატორიუმი არ ვრცელდება კანონპროექტის ამოქმედებამდე უცხოელის, აგრეთვე საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უცხოელის მიერ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე;

  ამავდროულად, ამ ინიციატივით საქართველოს მთავრობას დაევალა 6 თვის ვადაში მოაწესრიგოს მიწასთან დაკავშირებული კანონმდებლობა შემუშავებული მიწათსარგებლობის პოლიტიკის შესაბამისად.

- ზემოხსენებული კანონპროექტის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღების შემდგომ კომიტეტმა გააგრძელა საკითხის შესწავლა და მიღებული სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დააყენა საკითხი ანალოგიური მიზნითა და ვადით დაწესდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისათვის კატეგორიის შეცვლის შეზღუდვა. მომზადდა კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“;

- საკანონმდებო ცვლილებებთან დაკავშირებით, კომიტეტმა გამართა შეხვედრები მაუწყებლობისა და კომუნიკაციების სფეროს წარმომადგენლებთან. შემუშავდა შესაბამისი კანონპროექტები;

- მომზადდა რეკომენდაციები საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებასთან დაკავშირებით „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პირთათვის ჩინის დანამატის შეჩერების გაუქმების საკითხზე, რაც წარედგინა საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

- მომზადდა და ასევე წარედგინა საქართველოს პრემიერ-მინისტრს რეკომენდაცია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მაღალმთიანი რეგიონების მცხოვრებთათვის გათვალისწინებული შეღავათების სრულფასოვნად ასახვის შესახებ.

- პარლამენტის მიერ განხილულ „შრომის კოდექსთან" დაკავშირებით კომიტეტი ეტაპობრივად უზრუნველყოფდა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრებს, ანალიტიკურ სამუშაოებში ჩართულობას, შრომითი ბაზრის ეკონომიკური ანალიზის განხორციელებას, აგრეთვე მუდმივ რეჟიმში უწევდა კონსულტაციებს აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მოქალაქეებს, აგრეთვე საწარმოთა წარმომადგენლებს;

- კომიტეტმა განახორციელა სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობისა და შესაბამისი მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ანალიზი, საჭირო ინფორმაციის გამოთხოვა სათანადო უწყებებიდან. ზემოაღნიშნულის საფუძველზე პრაქტიკაში კანონის აღსრულებასთან დაკავშრებით გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემური საკითხები. კანონის სათანადო აღსრულების უზრუნველყოფისა და მთელ რიგ დებულებებში აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკის იმპლემენტაციის გზით კომიტეტი გეგმავს ბევრად უფრო ეფექტური რეგულაციების ასახვას საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სავაჭრო-სამრეწველო პალატებისა და რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატების ეფექტური მუშაობისათვის, რითაც

საბოლოო ჯამში ხელი შეეწყობა საქართველოში არსებულ ბიზნეს სუბიექტებს.

- კომიტეტმა საზოგადოების ფართო წარმომადგენლობის მონაწილეობით განიხილა ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობისათვის სახსრების მოპოვების, ხარჯვის მიზნობრიობისა და კანონიერების სახელმწიფო აუდიტის ანგარიში.

- კომიტეტის კანონშემოქმედებით და საზედამხედველო საქმიანობაში ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის, კვალიფიციურ ექსპერტთა და გამოცდილ სპეციალისტთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, კომიტეტის ინიციატივით შეტანილი იქნა ცვლილება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში, რომლის საფუძველზეც პარლამენტის კომიტეტებს შესაძლებლობა გაუჩნდათ შექმნან სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოები, რომლებიც შედგება შესაბამისი დარგის კომპეტენტური კონსულტანტებისაგან.

- კომიტეტთან შეიქმნა და აქტიურად საქმიანობს საინოვაციო საბჭო, რომლის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სემინარებში, სადაც მიმდინარეობდა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებული პროექტების განხილვა, დაესწრნენ სამშენებლო ტექნიკური რეგლამენტების განვითარების სტრატეგიის საუწყებათაშორისო კომისის სამუშაო შეხვედრებს.

- კომიტეტი აქტიურად იყო ჩართული ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გამართულ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისიანობაზე სავალდებულო ტესტირებაზე გადასვლასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელ უწყებათაშორისი საბჭოს სამუშაო შეხვედრებში.

- შესწავლილ იქნა და განხორციელდა „ბაქო-თბილისი-ყარსი“ სარკინიგზო პროექტის მიმდინარეობის ანალიზი. გაიმართა შეხვედრები ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში.

- კომპანია Skyport Projects Manajment-ის წერილის საფუძველზე შესწავლილ იქნა აეროპორტის ტერმინალის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხი. გაიმართა სამუშაო შეხვედრები.

- კომიტეტში შემოსული იყო რამდენიმე წერილი, რომელიც ეხებოდა ავტოგაზსავსებ საკომპრესორო სადგურებზე არსებულ პრობლემებს. შემუშავებული რეკომენდაციისა და ანალიზის საფუძველზე, აღნიშნულ საკითხებზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ მომზადებულ იქნა შესაბამის ნორმატიულ აქტებში ცვლილებათა პროექტები.

- კომიტეტმა შეისწავლა და გაანალიზა უკანონო მშენებლობის ლეგალიზაცის საკითხი, რის შესახებაც გაიგზავნა წერილები სხვადასხვა უწყებებში, შედეგად მომზადდა სათანადო საკანონმდებლო ინიციატივა;

- სამშენებლო კოდექსის შემუშავებასთან დაკავშირებით კომიტეტი აქტიურად მართავდა შეხვედრებს, როგორც საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან, ასევე უშუალოდ სამშენებლო სექტორში მოღვაწე სუბიექტებთან და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან. კომიტეტი აქტიურად მონაწილეობს სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში.

- კომიტეტის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ მწვანე ალტერნატივის მიერ ორგანიზებულ ენერგეტიკული პროექტების განსახორციელებლად დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმებისა და შეთანხმებების სამართლებრივი ანალიზის ანგარიშის პრეზენტაციაში.

- კომიტეტის ინიციატივით, საკონტროლო ფუნქციიდან გამომდინარე ჩატარდა კვლევა საქონლის წარმოშობის სერტიფიკატების (პრეფერენციული და არაპრეფერენციული) გაცემის/დამოწმების დინამიკის შესწავლის, პარტნიორ ქვეყნებთან GSP-ის და სხვა პრეფერენციული რეჟიმებით გათვალისწინებული უპირატესობების გამოყენების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების გამოკვლევის, ამა თუ იმ პროდუქტის პრეფერენციალური რეჟიმით ექსპორტირებისათვის დაწესებული

შეზღუდვებისა და დამატებითი მოთხოვნების დადგენის, გაცემული/დამოწმებული სერტიფიკატების გამო საქართველოს ექსპორტის მოცულობის გაზრდის შესახებ ინფორმაციის მოძიების, დონორი ქვეყნების სამომხმარებლო ბაზარზე დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს საექსპორტო პროდუქციის დამკვიდრების მაჩვენებლის ანალიზის მიზნით. ჩატარებული კვლევისა და მოძიებული მასალების შედეგად აღნიშნული სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობაზე და კანონის პრაქტიკაში აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე იგეგმება საკომიტეტო მოსმენა, რის საფუძელზეც შემუშავდება სათანადო ნორმებით ასახული კანონპროექტი;

- კომიტეტი აგრეთვე მიმდინარე პროცესში ახდენს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის" სამართლებრივ ექსპერტიზასა და კანონის ეფექტურად აღსრულებასთან დაკავშრებით უზრუნველყოფს პრაქტიკაში არსებული ხარვეზების შესწავლას დარგის სპეციალისტებთან ერთად.

<u>მნიშვნელოვანი საკანონმდებლო წინადადებები:</u>

- 2013 წლის 25 იანვარს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის რეზოლუცით, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს დაევალა განეხილა საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის მიერ საკანონმდებლო წინადადების სახით მომზადებული კანონპროექტი „კონკურენციის შესახებ". მუშაობის პროცესში კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი, კანონპროექტის ავტორთან და ეკონომიკისა დამდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად მივლინებით იმყოფებოდა პოლონეთში კონკურენციის საკითხებთან დაკავშირებით ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაზე.

  წარმოდგენილი წინადადების დეტალური შესწავლის შემდეგ, კომიტეტმა საკანონმდებლო წინადადება განიხილა 2013 წლის 21 თებერვლის სხდომაზე. საკომიტეტო მოსმენისას გამოვლინდა, რომ ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელიც აქტიურად მუშაობს ანტიმონოპოლიური გარემოს რეგულირებისა და ბაზრებზე კონკურენციის ხელშეწყობის საკითხებზე, უახლოეს პერიოდში, საქართველოს პარლამენტში, საკანონმდებლო ინიციატივის სახით, წარმოადგენს შესაბამის კანონპროექტს. აღნიშნულის გათვალისწინებით კომიტეტმა, საკანონმდებლო წინადადების ავტორთან შეთანხმებით, საკანონმდებლო ინიციატივის მომზადებაზე უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, საქართველოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან - საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტთან (GDRI) და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთან" ერთად შემუშავებულ კანონპროექტზე მუშაობა.

- დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა 2012 წლის 20 დეკემბერს სხდომაზე განიხილა ლაშა ჩხარტიშვილის მიერ საკანონმდებლო წინადადების სახით წარმოდგენილი კანონპროექტი „გარე ვაჭრობის შესახებ". საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის თანახმად, კომიტეტმა განხილვისას გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ წინადადების კანონპროექტად გადამუშავებისათვის საკითხი საჭიროებდა დამატებითი არგუმენტების მოძიებას. მათ შორის, მოსამზადებელ პერიოდში კონსულტაციებს ავტორთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან. შედეგად, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა გარე ვაჭრობის მარეგულირებელ კანონპროექტთა პაკეტი.

- დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა განიხილა პარტია ,,თავისუფალი საქართველოს" თავმჯდომარის - კახა კუკავას მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება ,,რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე". კომიტეტმა დაადგინა, რომ წარმოდგენილი სახით აღნიშნული კანონპროექტის მიღებას ექნებოდა გარკვეულ ნეგატიური შედეგები. კერძოდ, ყველა ეკონომიკური სუბიექტისათვის, რომელთა უმრავლესობაა საშუალო და განსაკუთრებით მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, დაეკისრებოდათ ახალი ვალდებულებები და გადასახდელები, რომლებიც

მათი საქმიანობისა და ეკონომიკური შემოსავლების შეზღუდვას გამოიწვევდა. ამიტომ, საკანონმდებლო წინადადების ავტორთან ერთად შემუშავდა კანონპროექტის კომპრომისული ვერსია, რაც იგივე შედეგით არ გამოიწვევდა მეწარმეთა ინტერესების უგულველყოფას. კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით ინიცირებულ იქნა კანონპროექტები „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ";

- „საქართველოს მენაშენეთა ასოციაციის" საკანონმდებლო წინადადების იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან ერთად განხილვის შედეგად მიღებულ იქნა ერთობლივი გადაწვეტილება იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ეგიდით შექმნილიყო სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმსჯელებდა ამ სექტორში არსებული პრობლემების კომპლექსურ მოგვარებაზე;

- უნდა გამოიყოს ასევე, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის და საქართველოს მენაშენეთა ასოციაციის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში" და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში" ცვლილებებისა და დამატებების შესახებ". საკანონმდებლო წინადადება ითვალისწიენებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის - სამშენებლო მედიაციის შემოღებას. საკანონმდებლო წინადადების განხილვის პროცესში კომიტეტმა შეისწავლა არსებული საერთაშორისო პრაქტიკა. გაიმართა შეხვედრები. კომიტეტი ცალსახად ადასტურებს აღნიშნულ დარგში არსებული პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობას, ამასთან აგრძელებს მუშაობას საკითხის მოგვარების ქმედითი მექანიზმის მოძიების კუთხით.

<u>*პეტიცია*</u>

- ნიშანდობლივია საზოგადოებრივი მოძრაობის, არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოების წარმომადგენლების ერთობლივი პეტიცია სათამაშო ბიზნესის რეგულაციის შესახებ. პეტიციის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით რომ საკითხი იწვევს დიდ საზოგადოებრივ დაინტერესებას, შეიქმა სამუშაო ჯგუფი,

რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც არასამთავრობო სექტორის, სათამაშო ბიზნესის მონაწილე სუბიექტები, ისე სამეცნიერო წრის წარმომადგენლები; სამუშაო ჯგუფის მუშაობის დროს წამოიჭრა მთელი რიგი პრობლემური საკითხები, რომელთა მოგვარებისა და გადაჭრის გზებზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა. აღსანიშნავია, რომ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე სამუშაო ჯგუფს მიეწოდათ საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკიდან გამომდინარე ინფორმაცია. საკითხის სიღრმისეული განხილვისა და მართებული გადაწყვეტილების მიღებისათვის სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობას ექსპერტებიც იღებენ, რომელთა კვალიფიციური აზრი სამუშაო პროცესს ბევრად უფრო ეფექტურს ხდის.

აღნიშნულ პერიოდში კომიტეტმა ორგანიზება გაუწია შეხვედრებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და სამეწარმეო საქმიანობის გააქტიურების წინადადებებზე მომუშავე როგორც ცალკეულ ავტორებთან და ორგანიზაციებთან, ასევე პრობლემური ეკონომიკური საკითხების მოგვარებაში დახმარების მთხოვნელ სამეწარმეო სუბიექტებთან.

კერძოდ: „საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტი"; „საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველო"; საქართველოს ბიზნეს ასოციაცია; შპს „მაგთიკომი"; შპს „ბილაინი"; შპს „ჯეოსელი"; სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი"; შპს „ნიკა პლასტი" ; შპს „საქართველოს პლასტერი"; შპს „ჯორჯიან პოლიმერ"; შპს TG ; შპს „პოლიმარი"; შპს „ააპლასტი"; BG კაპიტალი ; სს საქართველოს საპარტნიორო ფონდი; ლიბერთი ბანკი; PMC კვლევით ცენტრი; სს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგი"; შპს „სტერეო"; „ახალი ქსელები"; „ახტელი"; შპს „სისტემ ნეტი"; შპს „სი-ჯი-სი"; შპს „ჯიო-ტი-სი"; „საქართველოს კომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კავშირი"; არასამეწარმეო იურიდიული პირის „სიტყვა ქართული"; „მენაშენეთა ასოციაცია"; „არქიტექტორთა კავშირი"; „მშენებელთა ფედერაცია"; სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო; „იმერეთის რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაცია"; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ექსპერტი - კარენ კურტისი; კომიტეტის საკურატორო სფეროში შემავალი კანონების პრაქტიკაში მუშაობასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს ეკონომიკის ატაშე - გვიდო მინთელი; საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის

პრეზიდენტი; პროფკავშირების და საარჩევნო სისტემის საერთაშორისო ფონდი (IFES); იტალიურ-ქართული საერთაშორისო მომსახურების და შუამავლობის ცენტრის გენერალური მენეჯერი - კუირინო კლაუდიო ალოზა; და სხვა.

როგორც წარმოდგენილი ანგარიშიდან ვლინდება, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ინტენსიური მუშაობის შედეგად გამოვლინდა და აღმოიფხვრა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ხარვეზები.

ამასთან, კომიტეტი აგრძელებს აღნიშნულ საკითხზე მუშაობას და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 43-ე მუხლის შესაბამისად, შემუშავებულია საკომიტეტო მოსმენათა გეგმა, რის შესაბამისადაც კომიტეტი მოისმენს მის საკურატორო სფეროში შემავალი უწყებების საქმიანობის ანგარიშებს და შესაბამისი საკანონმდებლო აქტების აღსრულების მდგომარეობას.

იგეგმება შემდეგი უწყებებისა და ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ ანგარიშების მოსმენა:

სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო; სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო; საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა; სს საპარტნიორო ფონდი; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი; სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia); საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია; საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია; სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო; სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო; სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო; სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი; სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს; სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო; სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური; სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; სსიპ ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკის აღდგენისა და განვითარების ფონდი; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი; შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია; შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"; შპს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია; შპს

„მარაბდა-კარწახის რკინიგზა“; სსიპ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი; სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდი; საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო; სსიპ ნავთობისა და გაზის სააგენტო; სს „GGEDC“; სს „GEDF“; სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“; შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანია“; შპს „ინტერგლას საქართველოს“; სს „საქრუსენერგო“ ; შპს „ენგურჰესი“; შპს „ვარდნილჰესების კასკადი“; სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“; შპს „ენერგოტრანსი“; სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ ; სს „ნამახვანჰესი“; სს „თელასი“

საერთაშორისო ორგანიზაციის - AECOM-ის ინიციატივით, დარგობრივ ჭრილში განსაზღვრული მნიშნელოვანი გეგმების გათვალისწინების საფუძველზე, განხორციელდა მითითებული ორგანიზაციის წარმომადგენლებთან შეხვედრა. აღნიშნულ შეხვედრაზე კომიტეტის მხრიდან მოხდა კომიტეტის პრიორიტეტული სფეროებისა და სამომავლოდ განსაზღვრული მიმართულებების დეტალური მიმოხილვა, დაიგეგმა შემდგომი ურთიერთთანამშრომლობა, რომელსაც საფუძლად დაედება დონორი ორგანიზაციის მხრიდან გამოყოფილი ფინანსური და სხვა სახის რესურსები. აღნიშნული ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში კომიტეტი გეგმავს ისეთი რეგულაციებისა და დებულებების შემუშავებას, რომლებიც გათვალისწინებული იქნება როგორც საერთაშორისო პრაქტიკის, ასევე ქვეყნისათვის მნიშნელოვანი პრიორიტეტების თვალსაზრისით, რითაც უზრუნველყოფილ იქნება დახვეწილი და მოქნილი საკანონმდებლო ბაზა.